ეროვნული ბიბლიოთეკა



— წამოხვალ, შვილო, წელს უმაღლესში ჩასაბარებლად?
— იმ პირობით, თუ მომაწყობთ და შარშანდელივით ტყუილად არ მატარებთ გასაყიდი ინდაურივით!

№ 11 (1285) ივნისი 1968

# ნიანგი

გამოცემის 45-ე წელი ფასი 20 კაპ.

# როგორც გიჭირდეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა, აქეთ ვაშლი, კარგი ვაშლი, თურაშაული იაფად, პირიანად, მუქთად! — შემოსძახა ბაზარში შემოსვლისთანავე მეჯვრისხეველმა ნიკამ და მეუღლის გამოტანებული წინწკლებიანი თავსაფარი ლოყაწითელ ვაშლს გადაუსვა.

— ჯონჯოლი, მირონის ჯონჯოლი! — მხარი აუბა მეჯვრისხეველ ნიკას ავლაბრელმა მიტუამ და თავისი ბანჯგვლიანი ხელები ჯერ ჯონჯოლით სავსე კასრს აურია, მერე — ჯიბიდან, საბაზროდ ნაყიდი თუშური ქუდი ამოიღო, გადასაგლესურებლად გამეტებულ თავზე წამოიდო, თმები შუბლზე ჩამოიშალა და ეფექტისთვის ხმაშიც სოფლური აქცენტი გაურია.

— მწვანილი, ქუთათური მწვანილი, სიყვარულის წამალი, ასი გრამი ორი აბაზი... თუ გამაბრაზებთ, ათი შაური! — აჰყვა ლიხსგადაღმური ტერციით წამოწყებულ დუეტს რომელიღაც მხარ-ბეჭიანი ქაბუკი და, წონაში მომატების მიზნით, ქინძისა და ოხრახუშის კონები ჭუჭყიან წყალში ამოავლო.

— ვაშლი, ხალხო, ვაშლი, ოქროს ვაშლი! — ისევ დასძახა მეჯვრისხეველმა ნიკამ და თეორიული დახასიათებიდან პრაქტიკაზე გადავიდა: მადიანად ჩაკბიჩა თურაშაული.

— ტკბილია? — ჰკითხა ვაშლის ჭამით გართულ ნიკას რომელიღაც მანდილოსანმა.

— ვა, ტკბილი რომელია? თაფლია, აი, ნახე თუ გინდა!

— რა ღირს?

— შენთვის მანეთნახევარი!

— მანეთნახევარი რა ამბავია, ნამუსი აღარა გაქვს?!.. ამიწონე ერთი კილო!

— რა გაგიკვირდა, ჩემო დაო? შენ გგონია, სულ ჩემია ე მანეთნახევარი?... შენ იცი, რამდენი ხარჯი მაქვს? ნახევარი ხარჯს მიაქვს მააშ!

— რა ხარჯს?!

— როგორ თუ რა ხარჯს? ამას ვერ უყურებ?! — გაუწოდა ქვითარი გულმოსულმა ნიკამ ახირებულ მომხმარებელს, ასაწონად გამზადებული ვაშლი სასწორზე დასადებად ესტაფეტასავით გადასცა მესამე რიგში და ისევ მომხმარებელს მიუბრუნდა... — ყველაფერს ფული უნდა, ჩემო დაო!

— რა ფული, ბიჭო? — წამოადგა თავზე როლში შესულ ნიკას კონტროლიორი და ქვითარი მოსთხოვა.

— ქვითარი?... ანდე, მაგასა აქვს... აჩვენე, ჩემო დაო!

— რაში გადაახდევინეთ 53 კაპიკი? — დაინტერესდა მყიდველი.

— რა და... ადგილი უნდა?.. უნდა. ჰოდა, ადგილს 20 კაპიკი უნდა!... სანიტარული ტანსაცმელი უნდა?.. უნდა! სანიტარულ ტანსაცმელსაც 20 კაპიკი უნდა... სავაჭრო ინვენტარი უნდა?.. რა თქმა უნდა.. ესეც შენი სამი კაპიკი.. სასწორი ხომ უნდა, სასწორსაც 10 კაპიკი უნდა!.. სულ 53 კაპიკი, ეს არის, რაც არის!

— ჰოდა, ვაშლიც მანეთი და ორმოცდაათი კაპიკი. ეს არის, რაც არის?!

— კი მაგრამ, სასწორით მეზობლისგან სარგებლობ, ხალათი არა გაქვს, სავაჭრო ინვენტარი სულ არ გაგაჩნია, რაში იხდი ამ ფულს?!

— შენც ისე მეუბნები, თითქოს მე ვიყო დამნაშავე.. მომცეს და არ ავიღე?.. ე ფული ხომ გადავიხადე და მეტი რა ვქნა?.. ანდა მაგათ რა ქნან, არც ეგენი არიან დამნაშავენი, ბევრი ვართ ბაზარში და არა გვყოფნის არც გირები და არც ინვენტარი, ხალათები კიდენა, გასარეცხად მიუციათ და მაიტანენო. მაიტანონ რა, ხვალაც ამ თვის არ არის?!

— გამოდის რომ, მარტო ადგილში იხდიან ამ ფულს?!

— რა ვქნათ, აბა, ქალბატონო, ბაზარში სულ 500 ადგილი გვაქვს და გეგმას ათას ადგილზე გვაძლევენ, შესრულება არ უნდა? — განუმარტა კონტროლიორმა დაინტერესებულ მომხმარებელს და ცივად გაშორდა.

— რა კუდი აეწვა, მდუღარეგადასხმულივით რომ გაიქცა?

— აბა, რა გითხრა! — მოიფხანა კისერი მეჯვრისხეველმა ნიკამ.

— შენ რა უნდა მითხრა, რაც არ იცი!

— არ იციო?!.. რატომაც არ ვიცი? მე ისიც ვიცი, ქვითრის გარეშეც რომ გვახდევინებენ იმისას და ამისას, მაგრამ მე ვარ და არ გეტყვი!

— რატომ არ მეტყვი?

— რა ვქნა, შენ შემოჩენილი ხომ არა ხარ, ჩემო დაო?! ე მანდ ზედმეტი არაფერი წამომაცდენინო.. იქნება შენ ისიც გინდა გითხრა, ურიკით ყუთების შემოტანაში რომ სამი მანეთი გადამახდევინეს, ან კიდევ ავტობუსში რომ ცხრა პირი ტყავი გამაძვრეს და ერთ კაცს ათი კაცის ბილეთი ამაღებინეს, მერე ბილეთებიც არ მომცეს, ხომ გიცნობთ და ბილეთი რად გინდაო... მე, რა მიშავს; თვის ბოლოკივით წელიწადში ორჯერ შემოვდივარ ამ ბაზარში და რა უნდა გადამახდევინონ იმდენი, იმათ იკითხონ, იმ „რიადში“ რომ ტალიკ-ტალიკი ბიჭები ყიდიან მწვანილ-ბალახ-ბულახს, ისენი ხომ დედ-მამის შვილებივით ეხვევიან ბაზარს ყოველდღე, აბა, ეგენი არიან ხეირში... მე შენა ვერც იმას დამაცდენინებ, აგერ, ბაზრის ბოლოში რომ ბარანოვიჩიდან ჩამოსულები ბოსტნეულის თესლებს ყიდიან და ოთხ-ოთხი მეტრი ადგილი უჭირავთ ოც-ოც კაპიკად,



— კიდევ ვის სურს ჩვენი დირექტორის გაკრიტიკება?

ნახ. მ. აბაშიძისა

# ისე გილირდესო...

დავიჯეროთ ოთხ მეტრო ადგილში მეტს არ გადაიხდიდნენ?! გადაიხდიდნენ, მაგრამ მოვკვდები და არ გეტყვი!

— ნუ მეტყვი, ჩემო ძმაო, გასაგებია ყველაფერი!

— ჰოდა, აგაშენა ღმერთმა, სწორედ მეც ამიტომ ვყიდი კილო ვაშლს მანეთნახევრად, განა ამის ფასი მართლა მანეთნახევარია? მაგრამ რა ვქნა: როგორც გიჭირდეს, ისე გილირდესო!

P. S. ჩვენც ვუერთდებით მეჯვრისხეველ ნიკას და ვადასტურებთ, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების ღირებულებას ზოგჯერ მრავალი გაუთვალისწინებელი ხარჯები და „დანარიცხები“ აძვირებენ. ფელეტონში მითითებულ ნაკლოვანებებზე ბევრი ითქვა, ბევრიც დაიწერა, მაგრამ მდგომარეობა ისევ უცვლელი რჩება. ბაზრის ზოგიერთი მუშაკი არასწორი გზით ცდილობს გეგმების შესრულებას და კიდევ უფრო აძვირებს „განხეთქილების ვაშლს“.

ვ. კახელიშვილი
გ. რაჭველიშვილი
ს. უშიშაური

რედაქციისაგან: თუ ბაზრის ზოგიერთი მესვეური კონკრეტული ფაქტების ჩამოთვლას მოითხოვს, აგერაა, ბატონო!

### კიროვის სახ. რაიონის საკოლმეურნეო ბაზარი

1. სოფ. რენედან ჩამოსულ ა. ხუგაშვილს გადაახდევინეს სანიტარული ტანსაცმლისა და სავაჭრო ინვენტარის მინათხოვრების ღირებულება, ხოლო აღნიშნული არ მისცეს (ქვით. № 3850)

2. სოფ. ჩობალაურიდან ჩამოსულ ნ. პავლიაშვილს გადაახდევინეს სასწორისა და სავაჭრო ინვენტარის მინათხოვრების ღირებულება, ხოლო აღნიშნული არ მისცეს (ქვით. №1394).

3. სოფ. ოკამიდან ჩამოსულ გ. პატაშურს გადაახდევინეს სანიტარული ტანსაცმლისა და სავაჭრო ინვენტარის მინათხოვრების ღირებულება, ხოლო აღნიშნული არ მისცეს (ქვით. № 3390).

4. ქ. ბარანოვიჩიდან ჩამოსულ კ. ბარანოვიჩს დაკავებული ჰქონდა ორმეტრნახევარი ადგილი და გადახდილი ჰქონდა მხოლოდ 20 კაპიკი (ქვით. № 3725).

### ორჯონიკიძის სახ. რაიონის საკოლმეურნეო ბაზარი (საბურთალო)

1. მაღაროსკარიდან ჩამოსულ ე. ნაყეურს გადაახდევინეს სანიტარული ტანსაცმლისა და სავაჭრო ინვენტარის მინათხოვრების ღირებულება, ხოლო აღნიშნული არ მისცეს (ქვით. № 48105).

2. სოფ. იკოთიდან ჩამოსულ ო. ფიცხელაურს გადაახდევინეს სავაჭრო ინვენტარის მინათხოვრების ღირებულება, ხოლო აღნიშნული არ მისცეს (ქვით. № 17974).

4. სოფ. ხურვალეთიდან ჩამოსულ ა. ხარხელს გადაახდევინეს სავაჭრო ინვენტარის მინათხოვრების ღირებულება, ხოლო აღნიშნული არ მისცეს (ქვით. 17797).

4. სოფ. რენედან ჩამოსულ ო .გოჩაშვილს გადაახდევინეს სავაჭრო ინვენტარისა და სანიტტანსაცმლის მინათხოვრების ღირებულება, ხოლო აღნიშნული არ მისცეს (ქვით. 18378).

5. სოფ. ლამისყანიდან ჩამოსულ მ. ფავლენიშვილს გადაახდევინეს სავაჭრო ინვენტარისა და სანიტარული ტანსაცმლის მინათხოვრების ღირებულება, ხოლო აღნიშნული არ მისცეს (ქვით. 18420).

6. სოფ. ქაისხევიდან ჩამოსულ ზ. ცოცხალაშვილს გადაახდევინეს სავაჭრო ინვენტარისა და სანიტ. ტანსაცმლის მინათხოვრების ღირებულება, ხოლო აღნიშნული არ მისცეს (ქვით. № 18357).

### ორჯონიკიძის სახ. რაიონის საკოლმეურნეო ბაზარი (ვერა)

1. ქუთაისიდან ჩამოსულ მ. რევიშვილს დაკავებული ჰქონდა 3 მეტრი ადგილი და გადახდილი — მხოლოდ 53 კაპ (ქვით. № 17254).

2. ჰუსეინოვს, მამედოვს, ჰუსეინოვსა და ალიევს გადაახდევინეს სასწორის მინათხოვრების ღირებულება და აღნიშნული არ მისცეს (ქვით. №№ 4209, 7343, 7342, 7341).

### 26 კომისრის სახ. რაიონის საკოლმეურნეო ბაზარი

1. ს. პატრიკეთიდან ჩამოსულ ხ. ბაჩალაძეს გადაახდევინეს სასწორის მინათხოვრების ღირებულება, ხოლო აღნიშნული არ მისცეს (ქვით. № 18688).

2. თბილისელ ა. ბაბმიანს გადაახდევინეს სასწორის მინათხოვრების ღირებულება და აღნიშნული არ მისცეს (ქვით. № 18709).

3. ს. ჯორჯიაშვილიდან ჩამოსულ მ. წამალაშვილს გადაახდევინეს სასწორის მინათხოვრების ღირებულება, ხოლო აღნიშნული არ მისცეს (ქვით. № 18711).

4. ვ. გურგენაშვილს გადაახდევინეს სასწორის მინათხოვრების ღირებულება, ხოლო აღნიშნული არ მისცეს (ქვით. № 18601).

ნახ. გ. ლომიძისა




ჩაწოლილი საქონელი.

ნახ. ჯ. ლოლუასი



— არსაკიძეს მკლავი მოჭრეს, რატომ კარგი აგიგიაო, ამას კი უგატონოდ ხმას ვერ გასცემ.

# წერილი მამას

**მამა,** ალბათ ნაწყენი ხარ, მაგრამ არაუშავს, გამოვისყიდი ჩემს დანაშაულს. მრცხვენია, წერილი მოგწერო. ალბათ იტყვი, კიდე კაი სირცხვილის გრძნობა თუ შერჩაო და სწორიც იქნები. სულ იმას მეუბნებოდი: „დედის წინ მარბენალ კვიცს ან მგელი შეჭამს, ან მგლის შვილიო“ და ასეც მოხდა. აქ შენი ბრალი არაფერია. გინდოდა ღვინის ტექნოლოგი გამოვსულიყავი, მარა ღმერთმა არ ინება, თორემ მეც იმათ გვერდით ვიქნებოდი, ვინც თავი ისახელა ახალი მარკის ღვინის დაყენებაში. შეიძლება. შეიძლება შემედავო და მითხრა: „მე ოხერო, 45 წელი მეღვინედ ვიმუშავე, მადლობისა და ქება-დიდების მეტი ჩემთვის არავის არაფერი უკადრებიაო“, — არ იქნები სწორი. იმიტომ ხარ სოფელში და ჩიჩქნი მიწას. იყავი, ბატონო, და ჩიჩქნე. შენ რო „წესიერად“ მოქცეულიყავი და გაგეკეთებია ის, რასაც სხვა აკეთებდა, ასე არეული კი არ მექნება საქმე. მიმატოვე შუა გზაზე, გადი პენსიაში და გაიქეცი სოფელში. მართალია, არ დაგიჯერე, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ნაცვლად თეატრალურ ინსტიტუტში შევედი, დავამთავრე კიდეც, მაგრამ რად გინდა არტისტი! ახლა ყველა არტისტია და ამ ხელობას გასავალი აღარა აქვს. ეს დალოცვილი მერე ნიჭიც არ გამომაჩნდა.

მახსოვს, ერთ ჩემს წარმოდგენას უყურებდი... ცუდ ხასიათზე დამხვდი სახლში, გამიყვანე მეორე ოთახში და მითხარი: „შვილო, თეატრს თავი დაანებე, არ მყავხარ შენ უშანგი ჩხეიძე!“

დაგიჯერე, ბატონო, მივატოვე თეატრი და შევედი უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილებაზე. თუმცა ესეც რად გინდა, დიდი ჟურნალისტი მე არ გავხდები და პატარა, რამდენიც გინდა იმდენია, ისე, ჩვენში დარჩეს და, ქე მინდოდა, ბოლოს ჭკუაში რომ ჩავვარდი, მეღვინეობა, მაგრამ ამხანაგების შემრცხვა, იტყოდნენ: „არტისტი კაცია და სად წავიდაო“.

მსაყვედურობ, ცოლს რატომ არ ირთავო.. ახლა რომ ვთქვა, გოგოებს არ მოვწონვარ-მეთქი, ტყუილი იქნება. მოვწონვარ, მაგრამ მათი მშობლები რომ გაიგებენ ჩემს წარსულ პროფესიას, უარს მეუბნებიან: „არა, გენაცვალე, ნაარტისტალ კაცს ქალს ვერ მივცემთო“.

ხო, მართლა! ისევ უმუშევარი ვარ. ვერ ვიშოვნე იმნაირი სამსახური, რომ ტყვილა ვიჯდე, არაფერი ვაკეთო და ბევრი ფული ავიღო. შეიძლება შემეკითხო: „რითი ირჩენ თავსო?“ რითი, ბატონო, და გავატყავე საწყალი ელენიჩკა და ბაბაჩია, ესენი ბაზარში ვერ დადიან. მე დავდივარ ბაზარში. ბაზარს ისედაც ცეცხლი უკიდია და მე ბენზინს ვასხამ ზედ. ჩემი ფასები მაქვს: მანდარინი კილოგრამი რომ ღირს ოთხი მანეთი, მე ვამბობ 5 მანეთი ღირს-მეთქი, ვაშლი 2 მანეთი, მე სამს ვამბობ, ქათამი 13 მანეთი, მე კიდევ 15-ს ვიძახი და ასე. საქონლის ხორცს ვერ მოვუხერხე ოღონდ ვერაფერი, იციან სამმანეთნახევარი რომ ღირს. წონაში თუ მოვატყუებ, თუ არა, ფასში მოტყუება მიძნელდება. ასე რომ, დღეში 3-4 მანეთი მაქვს და პლუს ჭამაც იმათთან. კიდევ ის, რომ პატარა წერილს, ან ფელეტონს, ან რაიმეს ამის მაგვარს შევაკოწიწებ ხოლმე. საწყალი, ვისაც ჩემი წერილი დაეწერება. ხელახლა უხდება ხოლმე თავიდან დაწერა. ერთი სიტყვით, იმათაც ვეცოდები და ათი მანეთის ნაცვლად 20 მანეთს მიწერენ.

ასე რომ, ჩემო მამა, 25-ში, ჩემი დაბადების დღეა, მეგობრები მყავს დაპატიჟებული და ნუ ამოგვიყვან სოფელში. აქ ჩამომიტანე ყველაფერი. თუ სახლში არ დაგხვდე, ბაბაჩიასთან ვიქნები.

**შენი ბუჩუტა**

# კიბე

ქარხანაში ამწყობი საამქროს მოწინავე ბრიგადის მუშას ამბაკო ბოცვაძეს ბრიგადირი აუხირდა. ხან რა უთხრა და ხან რა. ხან: სამსახურის დაწყებამდე ადრე რატომ მოდიხარ ქარხანაში, ალბათ, ჩვენი მშობლიური ქარხნის მასალით შენთვის რაღაცეებს იკეთებო. ხან: ზუსტად რვაზე რომ მოდიხარ, მერე, სანამ შენ დაზგას ჩართავ და მუშაობას დაიწყებ, ნახევარი დღე გადისო. ამბაკო ზეინკალი იყო და ამიტომ იფიქრა: ჩემი სპეციალობის კაცს სხვაგან მოწყობა არ გაუჭირდება, ამ ჩემს ახირებულ ბრიგადირს ნერვები რატომ დავაწყვეტინოო, დაწერა დირექტორის სახელზე განცხადება და განთავისუფლება ითხოვა. ამბაკო მოწინავე მუშა იყო და მისი ქარხნიდან წასვლა საამქროს თუ არ დააქცევდა, არც რაიმე კარგს მოუტანდა. დირექტორმა განცხადება წაიკითხა, გაუკვირდა და რეზოლუცია დაადო:

— ჩემს მოადგილეს, გაარკვიეთ საქმე და მომახსენეთ, ამბაკო სამსახურს რატომ ტოვებსო.

დირექტორის მოადგილემ რეზოლუცია წაიკითხა და თავის მხრივ დაუმატა:

— ქარხნის მთავარ ინჟინერს: ჩვენთან შემოსულ ამბაკო ბოცვაძის განცხადებაზე თქვენი აზრი მაინტერესებსო.

მთავარმა ინჟინერმა საამქროს უფროსს დაუწერა იმავე განცხადებაზე:

— თქვენი საამქროს მოწინავე მუშას, ამბაკო ბოცვაძეს უკმაყოფილება ჰქონია ბრიგადირთან. საქმე გაარკვიეთ და მომელაპარაკეთო.

საამქროს უფროსმა რეზოლუციებით აჭრელებული განცხადება ბოცვაძის ახირებულ ბრიგადირს გადასცა:

— გაარკვიეთ საქმე და მომახსენეთ.

...რამდენიმე დღის შემდეგ დირექტორმა ბოცვაძის განცხადება დააკმაყოფილა

მერაბ ბერაძე

ნახ. გ. ფირცხალავასი



— წერილი თუ სიხარული?
— წერილი და სიხარული კი არა, გაზეთი მოზეცი, თუ კაცი ხარ, ერთი თვეა, არ მოგიტანია.

ნახ. მ. აბაშიძისა



— ამ კაცმა, რაც მაღაზიაში მოეწყო, სახლიც იყიდა, მანქანაც და ახლა მგონი რევიზიასაც ყიდულობს.



— გამატანე, თუ ძმა ხარ, ეს პალტო!
— არ შემიძლია, ფასებს ველოდებით.
— რას ელოდებით, საბოლოო ფასს ხომ მაინც თქვენ ადებთ?!

# ზოგიერთი დიასახლისის საყურადღებოდ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ძვირფასო** ქალებო! ა/წლის 24 აპრილს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვის ცენტრალურ ტელეგრაფში, იქ, საიდანაც მოსკოვს მივლინებული ქართველი მამაკაცები, სასწავლებლად ჩასული ახალგაზრდები, ყვავილების გადასაყიდად ჩათრეული მუტრუკები და სასპეკულანტოდ ჩაფრენილი იდიოტები ავტომატი ტელეფონის საშუალებით 15 კაპიკად ელაპარაკებიან თბილისს, სადეპეშო მაგიდაზე ვიპოვეთ ნერვულ მუჭში დაჭმუჭნილი, თბილისში გასაგზავნი ელვა დეპეშის ასლი და ოთხად გაკეცილი, გაცრეცილი რვეულის ფურცელი. ვაქვეყნებთ ორთავეს ასლს:

**დეპეშა**

დავალების შესრულებას ვერ ვასწრებ საქმის უაღრესი სირთულის გამო გთხოვთ ერთი თვით გამიგრძელოთ მივლინება ამასთანავე სასწრაფოდ გამომიგზავნოთ სამი თვის ხელფასი ავანსად მოსკვა 9 დო ვოსტრებოვანია

ეგნატე

**რვეულის ფურცელი**

დუხი „Может быть“ (პოლონურ ესენციაზე) 6 ფლაკონი (აუცილებლად).

ჩაის სერვიზი 120-მანეთიანი (ლურჯი წინწკლებით, 24 კაცზე, ორი სერვიზის შეერთებით).

შტეფსელი 15

შკურკა და იზოლაციონი ლენტა

გამოსართავი 12

კნოპკები (ბევრი)

ტელევიზორის ლამპოჩკები (ყველა)

ტელეფონის მავთული 100 მეტრი

საერთო რვეულები (კლეტკიანი და უკლეტკო)

შავი სათვალე (რამდენიც ვართ, იმდენი)

ფანჯრის ზამასკა

კბილის საჩიჩქნი (რაც შეიძლება მეტი, თვითმფრინავში მოაქვთ საჭმელთან ერთად)

ჯეჩნები (ყველასთვის და მეზობლებისთვის საჩუქრად. მეზობლებისთვის უბრალო)

ფეხსაცმელი — 29№, ბაცოსთვის

სანდლები — ოთხივეს — 29, 30, 31, 32 №-მრები

ფეხსაცმელი — სანდრიკას, ავთოს, ნუნუს, ხუტას

გეტრები და წინდები (თეთრი) — ყველას

ტრუსიკები — მხოლოდ ბაცოს (ავთოს, ნუნუს, ხუტას აქვთ)

კურტკები — ყველას (ლამაზი, ჭრელი)

ქუდები ფორმისთვის (ყველას — 23, 59, 58, 57№-მრები)

ხავერდის ბერეტები, შავი, ლამაზი

შნუროკები — (ყველასთვის, ბევრი)

**ჩემთვის**

ბოსანოჟკები — დაბალ და მაღალ ქუსლებზე

ფეხსაცმელები (ესენიც დაბალ და მაღალ ქუსლებზე)

კაბა, ფულის ჩანთა და ფეხსაცმელი — (მწვანე, ერთი ფერის ყველა)

ბაკურიანის ფორმა

წინდები (თხელები)

ზამშის პალტო (მონაცრისფერი, კომისიონში)

პლაშჩი (ლაბადა) — ერთი შავი. ერთი თეთრი

ღილები — ოხრია პალტოსთვის

ჩექმა ზამშისა და ტყავის. დაბალ და მაღალ ქუსლებზე (შავი და თეთრი)

შანელ 5 (ხუთი, დუხის ნომერია, ფლაკონი არ გეგონოს, პატარა ბოთლებში ასხია, ქეთოსთან რომ ვნახეთ, ის არის)

**შენთვის**

წინდები ყვითელი (ყვითელი ფეხსაცმელისთვის)

გალსტუკი — ბარდა

პიჟამო — თეთრი, ლურჯი ზოლებით, ან ლურჯი, თეთრი ზოლებით.

ეგნატე, შენი ჭირიმე, რაც სიაში წერია, ყველაფერი იმპორტული იყოს. რაც მთავარია, რამე არ გამოგრჩეს სიიდან და ყელი არ გამომჭრა.

ყვითელი, დიდი, ტყავის რემნიანი ჩემოდნის ყიდვა არ დაგავიწყდეს.

**ერთი** წუთით არ იფიქროთ, საყვარელო დიასახლისებო, რომ ან სიას, ან გულისხმიერებას, ან ქართულს, ან გემოვნებას გიწუნებდეთ. ან ის გვაინტერესებდეს, რამდენი თვე უნდა ირბინოს ამ სიის პატრონმა „გუმსა“, „ცუმსა“ და სპეკულანტებს შორის (რომელთა მისამართები უხვად არის მითითებული სიაში, მაგრამ, „ჰუმანური“ გრძნობების გამო მას არ ვაქვეყნებთ), ან როდის მიხედოს თავის მივლინებას, ან საიდან იშოვოს ამდენი ფული.

არა, თქვენი ჭირიმე! „ნიანგს“ უბრალოდ აინტერესებს, ნუთუ თბილისში მართლა არაფერი იშოვება?

# ასეც ხდება

— ტაქსი, ტაქსი! გამიჩერე, შვილო!..

— მოდი, დედიჯან, დაჯექი!

— შენ გაგახარა ღმერთმა! ახლა, შვილო, ჯერ წამიყვანე სადგურში...

— წაველით!

— არა, არა, ჯერ სახლში, იქიდან მერე ბაზარში მინდა გავლა, მერე რკინიგზის საბილეთო სალაროებთან, იქიდან „სბერკასაში“... არა, შვილო, ჯერ „სბერკასაში“ და მერე სალაროში...

— გავიგე...

— არა, ბიჭო, ჯერ ბილეთი ავიღოთ და მერე ბაზარში გამიყვანე. მატარებელზე არ დამაგვიანო, შვილო...

— დედიჯან, ბარემ ისიცა თქვი, რამე რომ დაგემართოს, რომელ საავადმყოფოში წაგიყვანო!

**ზურლან ყორღანაშვილი**



— ასეთი ლამაზი ქალი რამ მოგახსნევინათ სამსახურიდან?
— გადამირია აჰადმყოფები.

## განცხადება

იმასთან დაკავშირებით, რომ გაზაფხული ძალაში შევიდა და რუსთაველის პროსპექტზე „ბირჟავიკების" დიაპაზონი ერთიორად გაიზარდა, პროსპექტზე მდებარე ერთ-ერთი უდიდესი ბირჟის — „ზემელის" განყოფილება აცხადებს მსურველთა მიღებას.

ბირჟაზე მიიღებიან 16-დან 25 წლამდე ვაჟები (სასურველია ქალთა სქესის წარმომადგენელნიც), რომელთაც აქვთ თბილისის სხვადასხვა კუთხეში მოქმედების არა უმცირეს ერთი წლის სტაჟი.

რაიონებიდან ჩამოსულნი სარგებლობენ უკონკურსოდ მიღების წესით. მათთვის სპეციალურად იმუშავებს 4-თვიანი მოსამზადებელი კურსები.

მსურველები უნდა გამოცხადდნენ ბირჟის სამმართველოში, რომელიც მოთავსებულია იქვე მდებარე საჩაიეში და მუშაობს ყოველდღე, შეუსვენებლად.

ზემელის ბირჟის სამმართველო.

საზოგადოებრივი ვაჭრობის ქსელში ხშირად არ იცავენ მალფუჭადი კვების პროდუქტების შენახვის პირობებს, რის გამოც მომხმარებელი სამართლიან საყვედურს გამოთქვამს.



— რატომ ჰქვია ამ ძეხვს „დოქტორსკი?"
— შეჭამ თუ არა, ექიმთან უნდა გაიქცე, რომ არ მოგწამლოს.

# ოთხი ძმანი გორელები...

ოთხი ძმანი გორელები სულაც არ მუშაობდნენ ყანას, ხრეშს აძახებდნენ „ვაი ნანასა". მათი ზუსტი მისამართი გორის რაიონის სოფელი ხიდისთავია, ხოლო კიდევ უფრო ზუსტი — ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქების მილიციის განყოფილებები.

ხიდისთავს შეჰკრეს პირობა ოთხმა ღვიძლმა ძმამ: გოგიმ, გივიმ, რომანმა და ომარმა, გამვლელ-გამომვლელს მივუხტეთ, თავს დავატეხოთ ბანიო.

და აი, საქვეყნოდ ცნობილ სოფელს ძმებმა ნონიკაშვილებმა სხვა ამბებითაც გაუთქვეს სახელი: კენჭი ჰყარეს და სამოქმედო ასპარეზი გაინაწილეს. ომარს სოფელი ხიდისთავი ხვდა, რომანს — გორი, გივის — თბილისი, ხოლო გოგის — მოსკოვი. ფათერაკების ძებნა უმცროსმა ძმამ — ომარიმ დაიწყო. სორსოლამ (როგორც მას სოფელში ეძახიან) ვერ აიტანა კინოსეანსის მშვიდად მიმდინარეობა და მის გვერდით მჯდომ მაყურებელს თარჯიმანობა დაავალა: „იცოდე, სიტყვა არ გამოგრჩეს, ესე ამბავი რუსული, ქართულად ნათარგმანები მომასმენინე, თორემ საქმეს ვიქმ საჭოჭმანებსო". „მეც კარგად არ ვიცი რუსული და ვაითუ რამე სწორად არ გითარგმნოო". გაუბედა ომარს მაყურებელმა. ომარი ამაზე უკეთეს საშუალებას ველარ იპოვნიდა, წამოდგა, მაყურებელს საყელოში სწვდა, წამოაგდო ადგილიდან და კბილების კრაჭუნით უთხრა: მაშ თვლა მაინც გეცოდინება რუსულადო, და თავი ისე გაუქანა სახეში, რომ ექვსი კბილი დაათვლევინა. „თარჯიმანი" სისხლში მოსვრილი მიიყვანეს საავადმყოფოში. ომგადახდილ ომარს კი ახლა ბევრი „თავისუფალი" დრო აქვს და ითვალოს დღეები გინდა რუსულად და გინდა ქართულად. ახლა ჯერი მეორე ძმა რომანზე მიდგა. მას, როგორც ვთქვით, წილად გორი ხვდა. ძმის ამბავი რომ გაიგო, გაწყრა, როგორ შეიძლება მშობლიურ სოფელში ჩხუბის ატეხვაო. რაიონის მასშტაბის ხულიგანი მაინც უნდა იყოო, და ერთი თვის შემდეგ ქ. გორის ავტოსადგურის მოსაცდელში თავის მეზობელს აუტეხა ჩხუბი; რომანმა თავის პირველ შეყვარებულთან რომანის ჩაშლა მის ავ ენებს დააბრალა და მუშტები დაატრიალა ისე, რომ თითოოროლა გამშველებელსაც მოხვდა, ხოლო ორი საათის შემდეგ მან გორის მილიციის საპატიმრო კამერაში ღვიძლი ძმის ადგილი დაიკავა. ნათქვამია, ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო, რაღა სხვამ დაიკაოს ეს საპატიო ადგილიო.

ამ მცირე მნიშვნელობის ამბების მაყურებელი გივი განრისხებული იყო. საქმე გააკეთო ცხვირწინ, ეგ რა ვაჟკაცობააო და „საგმირო" საქმეების ჩასადენად წილყრილ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში გაემგზავრა ფინური დანით შეიარაღებული. ფათერაკების მოყვარულ კაცს, ვინ იცის სად დასჭირდეს... მან ხომ რესპუბლიკური მნიშვნელობის ხულიგნობის საპატიო სახელისათვის უნდა იბრძოლოს და აი, შეიქმნა ხელსაყრელი მომენტი ოცნებების განსახორციელებლად. კინოთეატრ „სპარტაკის" წინ ვილაც თბილისელი შეხვდა. ვერც ერთმა ექსპერტმა ვერ დაადგინა, რატომ აემღვრა თვალები პატივცემულ გივის ამ მოქალაქის დანახვაზე. მან მალაყელ ავარაზე უფრო სწრაფად იძრო ცივი იარაღი და მისთვის აუტანელ პირს ჩასცა. არაფერი სერიოზული არ მომხდარა! — ყვიროდა გივი, თან სისხლიანი დანა ხელში ეკავა. კალინინის რაიმილიციის მუშაკებმა იგი თავისი დანიანად წააბრძანეს, სადაც ჯერ არს...

გოგი ძმებს შორის ყველაზე უფროსი იყო და ასეთი მცირე წარმატებებით ვერ დაკმაყოფილდებოდა. ამიტომაც ძმებმა მოსკოვი უწილადეს. მას საკავშირო მნიშვნელობის ხულიგნის სახელისათვის უნდა ებრძოლა. ამ მისიის შესასრულებლად იგი თბილის-მოსკოვის მატარებლით გაემგზავრა ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში.

სახელოვან მოგზაურს ნერვებმა უმტყუნეს. მანამ როსტოვთან მივიდოდა შემადგენლობა, ვაგონის გამცილებლებს აუტეხა ჩხუბი და ერთს წყლით სავსე გრაფინი უთავაზა თავში, ხოლო მეორეს უბრალო ჯიბის საკეცი დანა დაარტყა, მერე რა, ამ დანის ტარება ხომ აკრძალული არ არისო! მოსკოვში მიმავალი სტუმარი როსტოვმა მიიღო.

ახლა ძმებს სამწუხარო მხოლოდ ის აქვთ რომ ერთ საპატიმროში ვერ მოხვდნენ და გამოცდილების გაზიარება მიწერ-მოწერით უხდებათ. მათი საბრალო დედა დადის მტირალი, თვალცრემლიანი. დამსახურებული ხულიგნების მეუღლეებს კი მჭკნარი სახეები ცრემლების ზღვამ ჩამოურეცხათ.

შალვა ვანიშვილი,
მილიციის გორის რაიგანყოფილების უფროსი

ნახ. ზ. ფორჩხიძისა



— ეგ მტვერსასრუტი რა ფირმისაა?
— „ჩაიკა“.
— კარგია?
— ძალიან.
— ლამაზიც არის, კა?
— ძალიან!
— პალტოს გაწმენდა თუ შეუძლია?
— რა თქმა უნდა.
— კოსტუმის?
— კოსტუმის, პალტოს, პლაშის, ყველაფრის.
— იატაკის მოწმენდაც შეუძლია?
— შეუძლია!
— ავეჯის გაპრიალებაც?
— ჰო.
— ეგ ჭურჭელსაც ხომ არ რეცხავს?
— შენ, ძმაო, პილესოსი კი არა, ცოლი გდომებია და რას მაწვალებ, ქორწინების სახლში მიბრძანდი!



— რა თემაზე იცავს ეს კაცი დისერტაციას?
— ეგ ძველი ინტრიგანია და, ალბათ, კვანტურ თეორიაზე.

# წერილები ნიანგს

პატივცემულო ნიანგო!

ჩვენ, კომკავშირის ხეივანთან მდებარე კოჯრის ახალი გზის მცხოვრებნი გაწუხებთ. თბილისის წყალსადენის სამმართველოს ხელმძღვანელები გვეუბნებიან, თქვენ კოჯრის ნიავიც გეყოფათ, სასმელი წყალი კი იმათ დაუთმეთ, ვისაც თქვენნაირი ჰაერი არა აქვთო.

რამდენად მართალია ასეთი პასუხი, ალბათ, ის გაიგებს, ვინც კვირაში მხოლოდ სამ დღეს სვამს ცივ წყალს.

წყალობა მდინარაძე

საყვარელო ნიანგო!

გაგონილი გექნებათ საჩხერე, მაგრამ შეიძლება არ იცოდეთ, რომ იქვე, სადგურთან, აბაშიძის ქუჩაა. ამ ქუჩის კეთილმოწყობისთვის 1966 წ. გამოიყო თანხა. ამ თანხიდან ნახევარი დაიხარჯა და საქმეც სანახევროდ გაკეთდა. თუ ადრე წელამდე ტალახში დავდიოდით, ახლა ტალახი მხოლოდ მუხლებამდე გვწვდება.

ველით, როდის მოგვწვდება ტალახი კოჭებამდე!

ტალახაძე

ჩვენო ნიანგო!

მართალია, წითელწყაროელები ვართ, მაგრამ ეს იმას ხომ არ ნიშნავს, წყაროებმა და ნიაღვრებმა წაგვიღოს?!

უკვე ათი წელია, რაც ფალიაშვილისა და სარაჯიშვილის ქუჩებზე ღვარსადენი უნდა გაკეთებულიყო, მაგრამ მას შემდეგ ბევრმა ნიაღვარმა ჩაიარა. პროექტი პროექტად დევს, ჩვენ კი... ეჰ, ჩვენს ამბავს ნუღარ იკითხავ!

ნია ღვარია

ძვირფასო ნიანგო!

ჩვენ სადგურ სუფსის რკინისგზის სახლის მცხოვრებლები გაწუხებთ. წელს ჩვენს სახლს დაბადებიდან ოთხმოცი წელი უსრულდება. გთხოვთ გვეწვიოთ. კომპეტენტური ორგანიზაციები გვპირდებიან: ამ თარიღთან დაკავშირებით ერთი წესიერი რემონტი ჩვენზე იყოსო.

აბა, თქვენ იცით, გელით!

საიუბილეო კომიტეტი

ბატონო ნიანგო!

ჩვენ, ქ. ცხინვალის მეზობლები, გუჯაბაურელები ვართ. სასიხარულო ამბავი გვინდა შეგატყობინოთ: ჩვენთან მატერიალურმა დონემ იმდენად აიწია, რომ სახლიდან ორ-ორი წყვილი ფეხსაცმლით გამოვდივართ. ქედან ერთი წყვილი გზისთვის არის გამიზნული.

სოფლის მესვეურები გვეუბნებიან, სანამ მაღაზიებში ჩაწოლილ ფეხსაცმელებს არ გავასაღებთ, გზებს არ შეგიკეთებთო.

რას იზამ, ალბათ ასეა საჭირო!

გუჯაბაურელები

მთავარი რედაქტორი
ნოდარ დუმბაძე

სარედაქციო კოლეგია:
ზ. ბოლქვაძე (პ/მგ. მდივანი),
ს. კლდიაშვილი,
ნ. მალაზონია,
გ. ნიშნიანიძე, (მთავ. რედ. მოადგილე),
ნ. შველიძე,
ო. ჭელიძე.

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“.

ნიანგი

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42.
ტელ: რედაქტორის 99-76-69, რედ. მოადგილის 93-49-32, საერთო განყოფილების 93-10-78.

Тбилиси, Сатирико-юмористический журнал «Ниангi».
საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა. ხელმოწ. დასაბ. 24/V. 1968 წ.
ქაღ. ზომა 70×108[1]/8
1 ნაბ. ფურც. 1,4.
ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 1.
პირობით ფორმათა რაოდ. 2. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ/კომბინატი. თბილისი, ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 1958.
უე 02191.
ტირაჟი 90.300.

ნახ. ვ. ლომიძისა

აშშ-ის კონგრესმა მოიწონა „სილარიბესთან ომისათვის“ განკუთვნილი თანხების შემცირების პროექტი.



— ჩვენ ოთხი მილიარდი დოლარით შევამცირეთ სილარიბესთან ომისათვის განკუთვნილი ხარჯები და მაინც აგრესორებს გვეძახიან!

1/1968

ИНДЕКС 76137

ეროვნული ბიბლიოთეკა

343 68

11.VI

КОНТРОЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР